არასამეწარმეო (არაკომერიცული) იურიდიულიპირის

„საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრი“

წესდება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. „საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრი“ (შემდგომში – „ასოციაცია“) არის დამოუკიდებელი და აპოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ემსახურება საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებების, (შემდგომში- პროდუქცია) არალეგალური გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლასა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვით შექმნილი/მოპოვებული პროდუქციის გავრცელების ხელშეწყობას.
2. „საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრი“ არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
3. ასოციაციის ოფიციალური სახელწოდებაა: ქართულად - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრი“.

მუხლი 2.

1. ასოციაციის ოფიციალური იურიდიული მისამართია თბილისი, ინგოროყვას 21.
2. ასოციაციი სოფიციალური ელ. ფოსტაა: georgianantipiracycenter@gmail.com

მუხლი 3.

1. ასოციაციას შესაძლებელია ქონდეს საკუთარი ლოგო, ბეჭედი, საფირმო სახელწოდება და სხვა ატრიბუტიკა.
2. გამგეობის გადაწყვეტილებით ცალკეული პროექტებისთვის შეიძლება დადგინდეს განსხვავებული სიმბოლოები.
3. ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, აქვს საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო ანგარიშები) საქართველოს საბანკო დაწესებულებებში. ასევე შესაძლებელია ჰქონდეს ასეთი ანგარიშები უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში.

თავი II
მიზნები და საქმიანობა

მუხლი 4.
ასოციაციის მიზნებია:
ა) განახორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში პროდუქციის არალეგალურად გავრცელება-გადაცემის აღმოფხვრას;
ბ) წაახალისოს ლეგალური პროდუქციის მოხმარება/გავრცელება.

მუხლი 5.
დასახული მიზნების მისაღწევად ასოციაცია:
ა)არალეგალური პროდუქციის გავრცელების წინააღმდეგ ქმედითი ზომების განსახორციელებლად უზრუნველყოფს გრანტებისა და სხვა სახის შემოსავლების მოძიებასა და მიღებას;
ბ) ახორციელებს არალეგალური პროდუქციის გავრცელების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიებს;
გ)არალეგალური პროდუქციის აღმოსაჩენად ახორციელებს სხვადასხვა სახის მონიტორინგს.
დ) ატარებს ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებს;
ე)არალეგალურ პროდუქციის გავრცელების წინააღმდეგ ეფექტური მექანიზმების შესამუშავებლად მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივებზე;
ვ) თანამშრომლობს ლეგალური პროდუქციის მიმწოდებლებთან;
ზ) ახორციელებს ლეგალური პროდუქციის მოხმარების წამახალისებელ კამპანიებს;
თ) ახორციელებს ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამის კანონით ნებადართული ყველა სხვა სახის საქმიანობას.

თავი III
წევრობა

მუხლი 6.
1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს, მზადაა დასახული ამოცანების განსახორციელებლად იკისროს ამ წესდებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.
2. ასოციაციის წევრის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ განისაზღვრება წარმომადგენელი, რომელიც შესაბამის იურიდიულ პირს წარმოადგენს ასოციაციაში, იქნება ჩართული ასოციაციის საქმიანობასა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასეთი პირის მიერ გამოხატული ნება ჩაითვლება შესაბამისი იურიდიული პირის მიერ გამოხატულ ნებად.
3. ასოციაციაში გასაწევრიანებლად აუცილებელ მოთხოვნებს ადგენს ასოციაციის გამგეობა.

მუხლი 7.

1. ასოციაციის წევრი უფლებამოსილია:

ა) წესდების შესაბამისად, მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის მართვაში;

ბ) მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ასოციაციაში დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა;

გ) საერთო კრებაზე ისარგებლოს ხმის უფლებით;

დ) მმართველობით ორგანოებში შეიტანოს წინადადება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შედის ასოციაციის კომპეტენციაში;

ე) ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ;

ვ) საკუთარი განცხადებით მოითხოვოს ასოციაციის წევრის უფლებამოსილების შეჩერება.

ზ) მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროგრამებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში;

თ) გავიდეს ასოციაციიდან და შეიწყვიტოს წევრის სტატუსი.

ი) განახორციელოს ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს ასოციაციის წევრობიდან.

2. ასოციაციის წევრს შეიძლება შეეზღუდოს რომელიმე უფლება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ წევრი ან მისი ქმედება ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებსა და ინტერესებს.

3. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ასოციაციის წესდება და შეასრულოს მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასოციაციის საქმიანობის ფარგლებში;

ბ) გაუფრთხილდეს და დაიცვას ასოციაციის ავტორიტეტი, სახელი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და ქონება.

გ) მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის საქმიანობაში, დაესწროს საერთო კრებას, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიზეზი სხდომის გამართვამდე აცნობოს ასოციაციის გამგეობას;

დ) ასეთის არსებობის შემთხვევაში, დათქმულ ვადაში გადაიხადოს საწევრო ასოციაციის გამგეობის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, ხოლო ამ ვალდებულების განუხორციელებლობის მიზეზი გონივრულ ვადაში შეატყობინოს ასოციაციის გამგეობას;

ე) პერსონალური მონაცემების/რეკვიზიტების ცვლილების, ასევე იურიდიული პირის წარმომადგენლის ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ასოციაციის გამგეობას;

ვ) არ გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის ასოციაციის წევრის უფლებამოსილება, აგრეთვე ასოციაციის წევრობიდან გამომდინარე, მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია.

ზ) არ განახორციელოს ისეთი საქმინობა, რომელიც არღვევს ან შეიძლება არღვევდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებებს.

მუხლი 8.

1. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ:

ა) უფლებამოსილება მოიხსნა საკუთარი განცხადებით;

ბ) მის წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) გაწევრიანებისას განზრახ წარმოადგინა ყალბი საბუთები;

დ) გაირიცხა ასოციაციიდან;

ვ) ლიკვიდირებულია.

2. ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს გამგეობის მიერ, თუ გაფრთხილების მიუხედავად:

ა) განახორციელა ისეთი ქმედება, რაც წინააღმდეგობაშია წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ ასოციაციის მიზნებთან და ამოცანებთან;

ბ) არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო ან/და არ გამოხატა წერილობითი პოზიცია საერთო კრებას ზედიზედ სამჯერ;

გ) არ გადაიხადა საწევრო, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამგეობის მიერ განსაზღვრულ ვადაში;

3. ასოციაციის გამგეობა უფლებამოსილია წევრს შეუჩეროს სტატუსი, თუ ასოციაციაში მიმდინარეობს საკითხის განხილვა წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისიწნებული საფუძვლით წევრის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით - საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. შეჩერებული წევრის სტატუსის აღდგენა/შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა.

თავი IV
საერთო კრება

მუხლი 9.

1. ასოციაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის წევრთა საერთო კრება.

2. საერთო კრება მოიწვევა მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

3. საერთო კრების ჩატარების თარიღს საკუთარი ან ასოციაციის წევრის ინიციატივით განსაზღვრავს და არაუგვიანეს 2 კვირისა წევრებს ატყობინებს გამგეობა.

4. ასოციაციის გამგეობა ვალდებულია საერთო კრების გამართვამდე არაუგვიანეს ორი კვირისა წევრებს გააცნოს საერთო კრების დღის წესრიგის პროექტი.

5.ასოციაციის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს კრების გახსნამდე, დღის წესრიგის პროექტის მიღებიდან 3 დღის ვადაში დღის წესრიგი სპროექტის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გამგეობისგან მოითხოვოს განმარტება, გამოთქვას მოსაზრებები ან მოითხოვოს დღის წესრიგის პროექტში ცვლილებების შეტანა.

მუხლი 10.

1. ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე საერთო კრება, რომლის მოწვევის ინიცირების უფლება აქვს:

ა) გამგეობის თავმჯდომარეს, საკუთარი ინიციატივით;

ბ) ასოციაციის წევრს

2. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნა დღის წესრიგის პროექტთან ერთად ეგზავნება გამგეობას, რომელიც უზრუნველყოფს საერთო კრების მოწვევას ამ წესდების მე-9 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11.

1. საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სრული შემადგენლობა გამოითვლება ასოციაციის აქტიური სტატუსის მქონე წევრებისაგან.
2. თუ კრებაზე არ გამოცხადდა წევრების აღნიშნული რაოდენობა, უფლება მოსილი პირი 2 კვირის ვადაში ხელახლა მოიწვევს კრებას, რომელიც დამსწრეთა ნებისმიერი რაოდენობის შემთხვევაში იქნება გადაწვეტილება უნარიანი.

3. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრით. გამგეობის გადაწყვეტილებით, დამსწრეთა 1/3-ის მოთხოვნით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კენჭისყრა ტარდება ფარულად. თუ კენჭისყრა ფარულია,მის ჩატარებას უზრუნველყოფს გამგეობა.

5. საერთო კრებაზე დასწრება არაა სავალდებულო, თუ ასოციაციის წევრმა წერილობით დააფიქსირა პოზიცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშრებით.

მუხლი 12.

საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ასოციაციის წესდებაში, ასევე დაამტკიცოს ასოციაციის წესდების ახალი რედაქცია;

გ) სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის შესახებ,

დ) დაამტკიცოს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი;

ე)მიიღოს, ცვლილებები შეიტანოს ან გააუქმოს საერთო კრების რეგლამენტი;

ვ) აირჩიოს გამგეობის წევრები და გამგეობის თავმჯდომარე;

მუხლი 13.

1. საერთო კრებას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე.

2. სხდომის თავმჯდომარე:

ა) ხსნის და ხურავს საერთო კრებას;

ბ) უძღვება სხდომას, დღის წესრიგის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს ასოციაციისწესდებისა და საერთო კრების რეგლამენტის დაცვას;
დ) განსაზღვრავს სიტყვით გამომსვლელთა რიგითობას;
ე) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს მის შედეგებს;
ვ) ახორციელებს კრების რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. საერთო კრების ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. ოქმში უნდა აისახოს:
ა) სხდომის დრო და ადგილი;
ბ) კრების თავმჯდომარის ვინაობა;
გ) სხდომაზე დამსწრე წევრთა ვინაობა და რაოდენობა;
დ) დღის წესრიგი,;
ე) კენჭისყრის შედეგები;
ვ) მიღებული გადაწყვეტილებები.

თავი V
გამგეობა

მუხლი 14.

1. გამგეობა არის ასოციაციის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს ასოციაციას, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს ასოციაციის საქმიანობის ნებისმიერ მიმართულებას და უზრუნველყოფს საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას.
2. გამგეობა შედგება ფიზიკური პირებსაგან, რომელთა არჩევაც ხდება საერთო კრების მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ოთხი წლის ვადით. გამგეობის წევრებთან ერთად საერთო კრებაზე ირჩევა გამგეობის თავმჯდომარეც.
3. გამგეობის წევრობისა და გამგეობის თავმჯდომარეობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს ასოციაციის წევრთა სრული შემადგენლობის 1/3-ს. კანდიდატურები წარედგინება გამგეობას შესაბამისი საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.
4. თოთოეულ წარდგენილ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა სრული შემადგენლობის უმრავლესობას. თუ კენჭისყრის შედეგად ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, იმავე დღეს იმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი და მათ შორის არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების უბრალო უმრავლესობას. თუ ხმები თანაბრად გაიყო გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მიიღო უფრო მეტი ხმა.
5. ერთი და იგივე პირი, ერთსა და იმავე თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
6. გამგეობის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება საკუთარი ნებით გადადგომის შემთხვევაში, ან მისი გადაყენებისას. თანამდებობის პირი გადაყენებულად ითვლება, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს საერთო კრება სრული შემადგენლობის ¾ -ით.

მუხლი 15.

1. გამგეობა შედგება ათი წევრისაგან გამგეობის შემადგენლობაში შედის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობის ცხრა წევრი.
2. თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, გამგეობის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს.
3. გამგეობის წევრთა საქმიანობის სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება შეიქმნას ასოციაციის აპარატი, რომლის რეგლამენტს ამტკიცებს გამგეობა.

მუხლი 16.

1. გამგეობა იკრიბება მინიმუმ სამ თვეში ერთხელ. სხდომის კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს და მის ჩატარებამდე 2 დღით ადრე გამგეობის წევრებს ატყობინებს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე. ამასთან, გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დანიშნოს გამგეობის რიგგარეშე სხდომა საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის ერთ-ერთი წევრის მოთხოვნით, რის შესახებაც სხდომის გამართვამდე გონივრული ვადით ადრე ატყობინებს გამგეობის სხვა წევრებს.
2. გამგეობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სულ მცირე 3 წევრი.
3. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გამგეობის თავმჯდომარის ხმას.
4. ასოციაციის გამგეობა:

ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს ასოციაციის მიმდინარე საქმიანობის ყველა მიმართულებას;

ბ) შეიმუშავებს ასოციაციის სამოქმედო გეგმას;

გ) წყვეტს ასოციაციის ახალი წევრების მიღების, წევრობის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის საკითხებს;

დ) შეიმუშავებს ასოციაციის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას;

ე) კონტროლს უწევს თანხების მიზნობრივ განკარგვას;

ზ) წესდების შესაბამისად, ნიშნავს საერთო კრების თარიღს და ატყობინებს ასოციაციის წევრებს;

თ) შეიმუშავებს საერთო კრების დღის წესრიგს და წესდებით განსაზღვრული წესით აცნობს ასოციაციის წევრებს;

ი) გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებაზე.

კ) ადგენს საერთო კრებაზე ხმის უფლების მქონე სუბიექტებს;

ლ) ახორციელებს ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება წესდებას.

5. ასოციაციის გამგეობა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დადგენილების ფორმით.

მუხლი 17.

1. გამგეობის უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს გამგეობის საქმიანობას, ახორციელებს კონტროლსა და კოორდინაციას გამგეობის წევრების საქმიანობაზე, გეგმავს და განსაზღვრავს ასოციაციის საშიანო და საგარეო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და სარგებლობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2. გამგეობის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს ასოციაციის საქმიანობას, დასახული მიზნების შესაბამისად;

ბ) იწვევს და თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს;

გ) წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) ასოციაციის სახელით ხელს აწერს და დებს გარიგებებს;

ე) ხელს აწერს გამგეობის დადგენილებებს;

ვ) წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნიშნავს საერთო კრების რიგგარეშე სხდომას;

ზ) ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

თ) აკომპლექტებს ასოციაციის აპარატს;

კ) ხელს აწერს საერთო კრების სხდომის ოქმს და ზედამხედველობას უწევს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს;

მ) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ასოციაციის შიდაორგანიზაციულ საქმიანობას

ნ) ახორციელებს საფინანსო წლის განმავლობაში ორგანიზაციის ხარჯების და შემოსავლების აღრიცხვას და წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს საერთო კრებას;

ო) ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ შედის სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენციაში.

3. გამგეობის თავმჯდომარის მიერ თავის უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ითავსებს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

4. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, ნიშნავს მოადგილეს.

თავი VI
დამფუძნებელთა კრება

მუხლი 18.

1. ასოციაციის დამფუძნებლები არიან პირები, რომლებიც შეთანხმდნენ „საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრი“ დაფუძნებაზე და ხელს აწერენ არასამეწარმეო იურიდულ პირთა მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირებულ სადამფუძნებლო აქტს.

2. ასოციაციის დამფუძნებლები მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ ავტომატურად ხდებიან ასოციაციისწევრები.
3. დამფუძნებელები უფლებმოსილნი არიან დააკომპლექტოს ასოციაციის პირველი გამგეობა;

მუხლი19.
ასოციაციის დამფუძნებლები არიან :

1. **შპს „სადისტრიბუციო კომპანია“** ს/ნ: 402037611 მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ნ.ხოშარაულის ქ., N 29, ბ. 115. ელ ფოსტა: ninos@rustaveli.com.ge
2. **სს „ქართული ფილმი“** ს/ნ:202054196 მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ახმეტელის ქ., N10ა. ელ ფოსტა: info@georgianfilm.ge .
3. **შპს „ბრავო რექორდს“** ს/ნ: 404868639 მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ., N68, კორ. 2. ელ ფოსტა: info@bravorecords.ge

თავიVII
ასოციაციის ქონება

მუხლი 20.
1. ასოციაცია შეიძლება ფლობდეს ნებისმიერ სანივთო უფლებას სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებულ ნებისმიერ ქონებაზე.
2. ასოციაციის შემოსავლები უნდა მოხმარდეს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას და მისი გადანაწილება წევრებს შორის არ დაიშვება.
3. ასოციაციის შემოსავლის წყაროა:
ა) საწევრო შენატანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ბ) შემოწირულობები;
გ) გრანტები:
დ) კანონით ნებადართული სხვა საშუალებები.
4. ასოციაციის თითოეული წევრი ვალდებულია გადაიხადოს საწევრო შესატანი, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს საერთო კრება. საწევროს ოდენობა და გადახდის პერიოდულობა განისაზღვრება საერთო კრების მიერ.
5. ასოციაციის ქონების განკარგვა ხორციელდება გამგეობის მიერ, წესდების შესაბამისად.
6. ასოციაცია შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნებს.

მუხლი 21.

1. ასოციაციის ფინანსური საქმიანობის, შემოსავლებისა და ხარჯების შემოწმებისა და კონტროლის მიზნით საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულიქნას აუდიტორი.
2. აუდიტორად შეიძლება მოწვეულ იქნას სათანადო ცოდნის მქონე ნებისმიერი პირი.
3. აუდიტორის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

თავი VIII
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 22.

დაუშვებელია ასოციაციის გარდაქმნა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის იურიდიულ პირად, აგრეთვე მისი დაყოფა რამდენიმე ასოციაციად ან სამეწარმეო პირთან შერწყმა.

მუხლი 23.

1. ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის საერთო კრება სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

თავი IX
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 24.

1. **დაკომპლექტდეს ასოციაციის პირველი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:**

   ა) გამგეობის თავმჯდომარე - ოთარ ბუბაშვილი, 01017006798, თბილისი ი ჭავჭავაძის გამზ. N 78 კორ. 1ბ. 2ა, ტელ: 577420253, bubashvili@gmail.com .

   ბ) გამგეობის წევრი - ირაკლი შარაბიძე, 01025003924, თბილისი ს. დიღომი შერმადინის ქ. N24 ბ.9, ტელ: 599248804, irakli.sharabidze@magticom.ge .

   გ) გამგეობის წევრი - გიორგი ვოლსკი, 01008016316, თბილისი ნ.ყიფშიძის ქ.N7 ბ.31, ტელ: 599790007, gwolski@silknet.com .

   დ) გამგეობის წევრი - გიორგი ხარებავა, 01001010762, თბილისი გლდანის მასივი, მე2 მიკრო/რაიონი, კორპუსი 35, ბინა 25, ტელ: 595987888 , geocinema@gfmstyudio.com .

   ე) გამგეობის წევრი - გიგა კობალაძე, 01027001819, თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი I კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 41, ტელ: 599939030, gkobaladze@gmail.com .

ვ) გამგეობის წევრი - ნოშრევან ჩხაიძე, 01024015789, თბილისი გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N25 ბ25, ტელ: 577257004, nc@gfmstudio.com .

ზ) გამგეობის წევრი - გიორგი გაჩეჩილაძე, 01024001990, თბილისი ჟიული შარტავას ქუჩა N 38 ბ18, ტელ: 577171702, g.gachechiladze@gpb.ge .

თ) გამგეობის წევრი - კონსტანტინე ჩლაიძე, 65002003909, თბილისი გ.რჩეულიშვილის ქუჩა კორპ.6 ბ.9, ტელ: 577471518, k.chlaidze@gnfc.ge .

ი) გამგეობის წევრი - ანდრია ლაშხი, 01024037417, თბილისი პეკინის გამზირი N33ა ბ20, ტელ: 551446969, a.lashkhi@imedi.ge .

კ) გამგეობის წევრი - ზურაბ ბეჟაშვილი, 01008044992, ვაჟა ფშაველას გამზირი VII კვარტალი კორპუსი15 9, ტელ: 555114884, zurab.bezhashvili@gmail.com .

მუხლი 25.

1. წესდება არის ასოციაციის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტი და ასოციაციის ყველა სხვა აქტი უნდა შეესაბამებოდეს მის მოთხოვნებს.
2. წესდება ძალაში შედის დამფუძნებელთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე

ორგანიზაციის სახელი	**შპს „სადისტრიბუციო კომპანია“** ს/ნ: 402037611
დირექტორი	ნინო სიხარულიძე _____

ორგანიზაციის სახელი	**სს „ქართული ფილმი“** ს/ნ:202054196
დირექტორი	გიორგი ხარებავა _____

ორგანიზაციის სახელი	**შპს „ბრავო რექორდს“** ს/ნ: 404868639
დირექტორი	გურამ გუნცაძე _____